# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სატენდერო კომისიის სხდომის

## ო ქ მ ი № 17

ქ. ბათუმი 3 მაისი 2012 წ.

**სხდომას უძღვებოდა:** კომისიის თავმჯდომარე - სულხან მოწყობილი.

**სხდომას ესწრებოდნენ:** კომისიის წევრი - ნუგზარ ძნელაძე.

კომისიის წევრები: თამაზ წულაძე, სულხან მამუჭაძე, ნუგზარ ცინცაძე.

საკონკურსო კომისიის მუშაობაში მონაწილეობა ეთხოვოს ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსს ირაკლი სურმანიძეს.

**დღის წესრიგი:** ხის ერთსართულიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის (სარდაფითა და მანსარდით) მშენებლობისათვის არქიტექტურულ-სამშენებლო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული **№ 418 კონკურსის შედეგების განხილვა.**

**მოისმინეს:** ნუგზარ ძნელაძის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ ხის ერთსართულიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის (სარდაფითა და მანსარდით) მშენებლობისათვის არქიტექტურულ-სამშენებლო საპროექტო მომსახურების, სახელმწიფო შეყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში არცერთი კონკურსანტის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება.

**დაადგინეს:** 1. აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამოცხადებული **№ 418** კონკურსის მეშვეობით, ხის ერთსართულიანი მანსარდით ინდივიდუალური

საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის, არქიტექტურულ-სამშენებლო საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა გამოცხადდეს არშემდგარად.

2) საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი გაეგზავნოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, მის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების მიზნით.

კომისიის თავმჯდომარე : _______________ /ს. მოწყობილი/

კომისიის წევრი: _______________ /ნ. ძნელაძე/

კომისიის წევრები: _______________ /თ. წულაძე/

_______________ /ს. მამუჭაძე/

_______________ /ნ. ცინცაძე/

_______________ /ი. სურმანიძე/